წელიწადი მე2 ტელეფონი № 76. კვირა 24 ივლისი

სამშობლო

№ 413

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე [illegible], სხვა ადგილებიდან კავკასიის [illegible] მიღებულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ივანე, ვლადიმერი იავის მეუღლით მარიამით და პეტრე პავლეს ძენი ხმალაძეები, ქეთევა პავლეს ასული ერაგიასი, ოლღა პავლეს ასული გვინჩაძისა, ნინა პავლეს ასული კელენჯერიძისა, ანნა პავლეს ასული რუხაძისა აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი საყვარელი დედის

ელენე ესევის ასულის ხმალაძის

გარდაცვალებას. უკანასკნელი გამოტირიება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 24 ივლისს დაბა ახალ-სენაკში წირვის მოსმენის შემდეგ.

ზაქარია ნიკოლოზის ძე ბუსურაშვილი მწუხარებით აუწყებს ნაცნობთა და ნათესავთ, რომ ოთხშაბათს, 20 ივლისს ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი საყვარელი და

ელენე ნიკოლოზის ასული ბუსურაშვილი,

დაკრძალვა მოხდება თბილისში კვირას, 24 ივლისს წმინდა ნინოსსასაფლაოზე.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

21 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება:

ორჯერ გადარჩენილი ქალი.

თანამედროვე დრამა 3 ნაწ. ო. ბენეტიტი და ე. გონეს მონაწილ.

ქალაქის მამები.

კომედია 2 ნაწ. კამილლო-დე-რიზას მონაწილეობით.

ანონსი: ორშაბათიდან, 25 ივლისიდან:

დარბაისელი ქურდი საამდროვო დრამა 5 ნაწილად, ჰუსტავ, სერენ და ოლგა ბენეტის მონაწ.

ჰოლანდიის მხატვრული კუთხეები.

სანახაობა.

ყაჩაღებმა დანიშნეს. სახუმარო.

იძლევა იჯარით ჩემ მიერ იჯარით აღებული საღორიის აგარაკზე **საეზოვო მიწა** ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებული ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

პირობების გაგება შეიძლება პ. ფერაძის სტამბაში,

ექიმი ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ექიმი ი. ჩარეძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12\frac{1}{2}$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლეგვაშთვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

აძლევს გაკვეთილებს

ფრანგ'ულ ენისას.

იკითხეთ „სამშობლოს“ რედაქციაში

დ. ლაილაში.

კბილის ექიმი

ანნა პარმენის ასული ებანოიძე

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს.

სახლი ნესტორ კაჰკაჰაშვილისა.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6—9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**“ რედაქც.

ვიყვან მოწაფეებს ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში. ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. აბორინის ქუჩა, სახლი დემიდოვის, სტუდენტი

244 ა. ზ. თელაია. თვ.

გებია მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 21 ივლისიდან ახალი პროგრამა

მე თქვენ გნახეთ გუშინ სიზმარში

ძლიერი დრამა 3 ნაწ. გამოჩ. მსახიობთა პანოვის, ა. ვერლენის და აზაგაროვის მონაწილეობით.

დასჯილი ანტონი დრ. 2 ნაწ. გამოჩენილ მსახიობთა მონაწილ.

ანონსი: ორშაბათიდან, 25 ივლისიდან.

კუნძული იავა და მისი ქალაქები.

სანახაობა.

და ხმალი მისი მზეზე ბრწყინავდა დრამა ოთხ ნაწ. კარბანოვის და რიმსკის მონაწილეობით.

ერთი სანაძლეოს შედეგი სახუმარო.

იყიდება.

დაბა ხონში იყიდება სამოსახლო ადგილი

სივრცით დაახლოვებით 1500 საჟენ. სემინარიის გვერდით. პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.

256

მსოფლიო ომი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ)

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბი საგან.

დასავლეთის ასპარეზი

პეტროგრადი. 21 ივლისი. მდინ. სტოხოდთან მკაცრი ბრძოლაა სოფელ ლიუბეშოვისა და გულევიჩის მიდამოებში. მდ სერეტთან ბრძოლის დროს გორდისჩესთან, რომელიც ტარნოპოლის ზევით 20 ვერსის მანძილზე მდებარეობს, დაიჭრა პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ვორონოვი. ვერებევკის მიდამოებში ერზერონის აღმოსავლეთით მტრის 9 აეროპლანი ჰფრინავდა დნესტრიდან სამხრეთით სტანისლავოვის მიმართულებით. დასჭრეს პოლკის მღვდელი მამა კასტრომსკი.

კავკასიის ასპარეზი.

დიარბექირის მიმართულებით ოგნუტის მახლობლად მუშისა და მამახათუნის შუა ჩვენ ავიღეთ მტრის გამაგრებული ადგილები დავატყვევეთ 7 აფიცერი 300 მდე ჯარის კაცი, ერთი რაზმი მთლად. აგრეთვე ხელთ ვიგდეთ იარაღები და ტყვიის მფრქვეველი. წინ სვლა გრძელდება, ტყვეთა რიცხვი თანდათან იზრდება.

პეტროგრიდი. 22 ივლისი. ლიუბეშევის მიდამოებში ჩვენი ჯარი სტოხოდის მარცხენა ნაპირზე გადადის. აილო რამოდენიმე სიმაღლე და იქ გამაგრდა. მდ. სტავოკს სტოხოდის მარცხენა მხრიდან ბრძოლით მიუახლოვდით და სოფელ რუდკა მირინსკაიასთან ბრძოლა გაჩაღდა. საქმე ხიშტების ხმარამდი მივიდა სოფელი რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადადიოდა ბოლოს ჩვენ შევინარჩუნეთ მტერი შეეცადა ჩვენ გაძევებას მაგრამ ამაოდ. მტერი მდინარე, სტავოკს იქით გავრეკეთ, ხელთ ვიგდეთ 12 ტყვიის მფრქვეველი და დავატყვევეთ დაახლოვებით 600 გერმანელი. მტრის შემოტევა კორტნიცთან შეჩერებულ იქნა. დანარჩენ ადგილას ჩვეულებრივი ბრძოლა სწარმოებს.

პეტროგრადი. 22 ივლისი. მდ. სტავოკთან მთელი ღამის განმავლობაში გამძვინვარებული ბრძოლა იყო. მტერი ძლიერ კონტრ-იერიშებს აწარმოებდა. დილის სამ საათზე ჩვენ იძულებული შევიქენით უკან წამოვსულიყავით 400—600 ფეხის ნაბიჯზე ბროდის სამხრეთით მდ. გრაბერსკოის ხაზზე ბერეტოვისკში გენერალი სახაროვის მეთაურობით მკაცრი ბრძოლა სწარმოებს. დავატყვევეთ 1300 ჯარის კაცი ბროდში შრაპნელის ტყვიით მოკლულია პოლკის მღვდელი უსპენსკი.

კავკასიის ასპარეზი.

არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ლონდონი. 22 ივლისი. ბრიტანიის მთავარ სადგომის ცნობა საფრანგეთიდან. მთელი ღამის განმავლობაში ფრანგები ამაგრებდენ სანგრებს და აკეთებდენ ახალ სანგრებს გერმანელთა არტილერია ყუმბარნბს უშენდა ფრანგებთა სანგრებს მოლცგორნიდან ლონგვანიამდე, მამეტის, ფრიკურის, ბეკურის ტყეებსა და სოფ ნოზერს. სუშეს მახლობლად გერმანელებმა ააფეთქეს ნაღმები. ზარალი უმნიშვნელოა.

პარიზი. 22 ივლისი. რუსის ჯარმა შამპანში გასაოცარი სიმამაცე გამოიჩინა. გენერალ ლოხვიცკის საგრძნობლად გაუმარჯვნია და გერმანელებისთვის დიდი ზიანი მიუყენებია.

პარიზი. 21 ივლისი. სომის ასპარეზზე დღის განმავლობაში ბრძოლა არ ყოფილა. საარტილერიო ბრძოლა გრძელდება მონაკოს მიდამოებში და მაასის მარჯვენა ნაპირზე. ტიიმონ—ფლერითან ფრანგებმა მტერს უკან დაახევინეს და წაართვეს ყველა სანგრეები 320 ის სიმაღლემდის. აგრეთვე იერიშით აიღეს სოფელი ფლერიდა, დაატყვევეს 650 გერმანელი 14 ივლისიდგან 21 ივლისამდის მაასის მარჯვენა ნაპირზე წამ ოყვანილი მტრის რიცხვის რაოდენობა უდრის დაახლოვებით 1750 ს

ფრანგებმა აგრეთვე მკაცრი იერიში მიიტანეს შეკთან და უკან დაიბრუნეს წინად დატოვებული სანგრეები. სხვა მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა. რკინიგზის სადგ. პამ ნოინზე გერმანელმა საჰაერო რაზმა ყუმბარები ჩამოყარა.

დილით გერმანელებმა ლანსში ჩამოჰყარეს ყუმბარები, მაგრამ ფრანგებს ზარალი არ უნახავთ. პონტა მუსენთანაც ჩამოჰყარეს გერმანელებმა ყუმბარები. სომის ასპარეზზე ფრანგების აეროპლანებმა ძირს ჩამოაგდო ოთხი გერმანელთა აეროპლანი, 2 მორეპის მიდამოებში, 1 გილემონის, და 1-ც ბარლესთან. უკანასკნელი პოდპორ. გინემერმა ჩამოაგდო (ეს რიცხვით მეთორმეტე აეროპლანია გინემერის მიერ ძირს ჩამოგდებული) აგრეთვე ორი სხვა აეროპლანი გერმანელების საგრძნობლად დაზიანდა დ ძირს ჩამოეშვა. ერთი ბრისთან, ხოლო მეორე ანდეშისთან.

ჰავრი 21 ივლისი. ბელგიის ასპარეზზე არაფერი მომხდარა საყურადღებო. ნისლიანი დღე არტილერიის მოქმედებას ხელს უშლიდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

——

სპარსეთის ასპარეზზე ოსმალებს მრავალრიცხოვანი არტილერია ჰქონიათ და ყუმბარებს გაუფრთხილებლად ისვრიან.

——

როგორც ეტყობა რუმინია კვლავაც აპირებს ნეიტრალიტეტის დაცვას და ათას ხრიკებს იგონებს ხიფათის თავიდან ასაცილებლად.

ეხლა მეფე ფერდინანდს ბრატიანოსთვის რუმინიის შემდეგი პოლიტიკის გამოსარკვევად სამეფო საბჭოს მოწვევა უბრძანებია.

——

რუმინიაში კონსერვატორები და სოციალისტები ნეიტრალიტეტის მომხრეები ყოფილან.

——

გერმანიასა და ავსტრიას შუა დადებული სადამაჟნო ხელშეკრულება უკვე ხელ მოწერილი ყოფილა და ამ დღეებში გამოაქვეყნებენ.

——

გერმანელები და ავსტრიელები ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში აუარებელ პურს, სიმინდს და სხვა სურსათს ყიდულობდნენ წვრილ წვრილად. რკინის გზის სადგურამდე გამყიდველებს მიაზიდინებდენ ხოლმე თავის ურმით და იქ კი ურემს შეისყიდდენ და გერმანიაში გაჰქონდათ. ამნაირად დღეს არამც თუ სურსათის ნაკლებობა, არამედ აოავითარი საზიდავი საშუალებანი და არავითარი სამუშაო იარაღი აღარ მოეპოება.

——

ბუდაპეშტზე მრავალი ოსმალო აფიცრები და ასკერთა რაზმები მიდიან გალიციისკენ. ოსმალები უიარაღოთ მოდიან თურმე უნგრეთში იქ იარაღს ისხამენ და მიდიან ბრძოლის ველზე.

——

ერთი სერბიული გაზეთი სწერს, გამოვა რუმინეთი მოკავშირეთა მხარეზე და დადგება გერმანელთა უკანასკნელი დღეო.

——

გერმანიაში სხვადასხვა მაღაროებში ეხლა 45000 ქალი მუშაობს, ომის დაწყებამდე კი მათი რიცხვი 5000 არ აღემატებოდა.

——

გერმანიაში იმ ქარხნებს, რომელნიც სამხედრო მასალებს ამზადებდნენ ეხლა მშვიდობიან დროის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად აკეთებენ.

——

ერთი პირი, რომელიც ეხლახან სპარსეთიდან დაბრუნდა გვამცნობს, რომ სამხრეთ სპარსეთში ამ ჟამად 28000 ოსმალთა გაწვრთნილი ჯარი მოქმედებს ხალილბეის მეთაურობით და ადგილობრივ ტომთა დახმარებით.

——

როგორც ეხლა ირკვევა, ოსმალებს მაის-ივნისს ბაღდადის მიმართულებით შემოტევის ზნეობრივი მნიშვნელობით უსარგებლიათ და სამხრეთ სპარსეთში მო-

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. რიგის ყურედან მოყოლებული ქალაქ პინსკის მიდამოებამდე სრული სიწყნარეა. ქ. პინსკის სამხრეთ და დასავლეთით 50 ვერსის მანძილზე სოფ. ლიუბეშოვთან და გულევიჩთან მედგარი ბრძოლები ასტყდა. მდ. სერეტზე ტარნოპოლიდან 20 ვერსით მდინარე დაბა გოროდიჩესთან მკაცრი ბრძოლები სწარმოებს. აქ, რუსებმა დაეჭრათ პოლკ. ვისობიევი. მდინარეების სტავოკისა და სტოხოდის შესართავთან მთელი ღამის განმავლობაში მედგარი იერიშები მიჰქონდათ რუსებზე და სოფ. რუდკამირინსკაია დაალცლევინეს. აქ რუსებმა დაატყვევეს 600 კაცი და ხელთ იგდეს 12 ტყვიის მფრქვეველი.

კავკასიის ასპარეზი დიარბექირის მიმართულებით ხიშტებით იერიში მიიტანეს ოსმალებზე და რამდენიმე სიმაგრე დააცლევინეს. რუსებმა დაატყვევეს 30 ასკერი და 7 აფიცერი.

დასავლეთის ასპარეზი. პოზიერის ბრძოლის ხაზს გერმანელები მძლავრად უშენენ არტილერიას; საერთოდ გერმანელები მდ. სომმის პირზე ენერგიულად ამოქმედდენ. ქვეითა ჯარის ბრძოლები არ ყოფილა. ტიომონ-ფლერის მთელ ხაზს გერმანელები მძლავრად ჰკვეთებიან, მაგრამ ფრანგებს ყველა იერიშები მოუგერებიათ და კვლავ პოზიციები დაუპყრიათ. აქ ფრანგებმა 600 კაცამდე დაატყვევეს. დანარჩენ ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლაა.

იტალიის ასპარეზი. მდგომარეობა უცვლელია.

სახლე ტომები აუმხედრებიათ.

— —

ლონდონიდან იტყობინებიან: გადაურჩენიათ მსახურნი რვა იალქნიანი ნავისა, რომლებიც გერმანულ წყალქვეშას დაუღუპნია.

— —

ათინიდან იტყობინებიან, ჩერნოგორიაში აჯანყება გრძელდებაო.

—

იმპერატორ ვილჰელმს საკუთარი ხელით დაწერილი წერილი გაუგზავნია რუმინიის მეფე ფერდინანდისთვის.

— —

გერმანიაში და ავსტრო-უნგრეთში ახალი საშინაო სამხედრო სესხის გამოცემას აპირებენ.

— —

მესოპატამიაში ამ ჟამად ჯოჯოხეთური სიცხეები დამდგარა, რის გამოც გენ. ლევს სრულიად შეუწყვეტია მოქმედება და ინგლისის ჯარი ბასორაში დაბრუნებულა.

სამხედრო მიმოხილვა.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის გუშინდელი ცნობა გაკვრით გადმოგვცემს ერთ საყურადღებო ამბავს: მდ. სტოხოდზე, იმ ადგილის ახლოს, სადაც იგი მდ. პრიპეტზე ერთვის მედგარი ბრძოლები ამტყდარა, შემდეგადაც რუსების მიერ სოფ. რუდიმირსკის რუსების მიერ დალცლა ყოფილა.

დეპეშებიდან არა სჩანს ვისი თაოსნობით მომხდარა აქ ბრძოლა, მხოლოდ ეჭვი არ არის რუსები არ დაიწყებდენ ვინაიდგან ამ მხრით შეტევა ამ ხანად არ იქნებოდა ეს რუსებისთვის სასარგებლო.

მართალია, გერმანელთა პინსკის პოზიციები წინ არის წამოწეული და ადვილი იქნებოდა, პირველი შეხედვით, მოწყვეტა ზემოხსენებულ პოზიციებისა, მაგრამ ამ შემთხვევაში წინ შეჭრილი რუსების ჯარის მარცხენა ფრთა თვით ჩავარდებოდა, რადგანაც პინსკი ჩრდილოეთით არ არის შემოვლილი და მაშასადამე მდგომარეობა მისი მკვიდრია

მოსაზრებას გერმანელთა თაოსნობის შესახებ უფრო მეტი საფუძველი აქვს. თუ გერმანელები ლიუბეშოვგულევიჩით მართლაც შეუტევენ რუსებს, მაშინ, უეჭველია მათი მიზანი დიდი უნდა იყოს.

გერმანელებისათვის ამ შემთხვევაში კოველ-ვოლინისკენ წინ წასული რუსების სრულიად მოჭრა თუ არა, მათი მოქმედების უნარის შემცირება მაინც იყოს შესწევთ ამის განსახორციელებლად გერმანელებს ძალები თუ არა ეს ჯერ-ჯერჯერობით არა სჩანს და უეჭველია ცოტა ხანში გამოირკვევა.

ერთი რამ კი ცხადია, რუსებს ჯარი მრავლიც ყავთ, ტყვია-წამალით სავსე აქვთ საწყობები და მეტად მედგრად უტევენ გერმანელ-ავსტრიელებს რაძივილოვ-პინსკის შუა და მიღწეული უპირატესობა ყოველ მხრივ ეცდებიან შეინარჩუნონ.

შვერლი.

ქ ქუთაისი, 24 ივლისი.

შინაურ საქმეებზე

გუშინ ჩვენ გაზეთში გადმოვბეჭდეთ ცნობილი კომერსანტის ი. გველესიანის წერილი, რომელიც ასე თავდებოდა: **„ქვეყანაზე სხვა საქართველო არ არის და რომელიც არის, ის უნდა შევინარჩუნოთ.**

დიდებული სურვილი და საშვილიშვილო მოვალეობაა ყველა ქართველისათვის საქართველოს დაცვა და შენახვა, თუმცა ერთით, სირცხვილიც კი არის, რომ მეოცე საუკუნეში ეს საანბანო ჭეშმარიტება მხოლოდ სანატრელი სურვილი იყოს, მაგრამ ისე უბედურად მოეწყო ჩვენი ცხოვრება, რომ, როგორცა ხედავთ, —კვლავ ნატვრა და დარჩენილა ჩვენი გულის მოსაფხანად...

ეჭვი არ არის, რომ საუკუნოებით ნატანჯი საქართველო როგორც იქნება კიდევ ტანჯვით მაინც გაიკვლევს თავის ისტორიულ გზას, მაგრამ რად, რად უნდა იტანჯებოდეს იგი ასე უწყალოდ, როცა დრო არის ცოტათი მაინც შეუმსუბუქდეს ტანჯვის დღენი და თუ პოლიტიკურად არა, ეკონომიურად მაინც გასწორდეს წელში...

ჩვენ ქართველებმა, სხვათა შორის, ერთი მავნე ჩვეულებაც შევითვისეთ მეცხრამეტე საუკუნეში:

რაკი საქართველო წელში გადატყდა და დაქვეითდა, ჩვენც სულით დავკნინდით და დავკარგეთ რა ქართველური თაოსნობა, რაღაც ტიკინებად გადავიქეცით და ყველაფერს ღრეჭითა და კრეჭით ვხვდებით. ქართველობა და ქართველური ზნე ჩვეულება დავივიწყეთ.

იყო დრო, რომ ქართველი საზოგადოების მაღალ წოდებას ქართული ლაპარაკიც კი სამარცხვინოდ მიაჩნდათ და დღესაც საყველპუროდ იცის თავისი სამშობლო ენა იყო დრო, რომ ქართული განდევნილი იყო ჩვენი სასწავლებლებიდან

იყო დრო, რომ ქართული წიგნი ათასში ერთი თუ მოიპოვებოდა და დღესაც ორასს ოჯახში ხუთს არ ექნება ქართული წიგნთ-საცავი.

იყო დრო, რომ შვილის გაჩინოვნიკება უმაღლესი იდეალი იყო ქართველი მშობლებისათვის და დღესაც ჩვენი გიმნაზია-ინსტიტუტები სულით მაინც ასში ოთხმოცდა ცხრამეტს ჩინოვნიკად ზრდიან. იყო დრო.. მაგრამ განა ვერა ვხედავთ და ვერა ვგრძნობთ, რაც იყო და რაც არის დღეს?

ქართველი ხალხი

გადაგვარების გზაზე დამდგარა და ისე დაუკარგავს შეგნება, რომ უბრალო პროტესტის თავიც კი არა აქვს, როცა მის წმინდათა წმინდას ფეხითა სთელავენ და მის ვინაობას მასხრად იგდებენ!

ჩვენი კალმოსნები და მქადაგებელ მოძღვარნი ქართველების ასეთ დაქვეითებას გარეშე მიზეზებითა ხსნიან და უცხო აღზრდის ზეგავლენას აწერენ.

ეს მართალი და სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ცოტა დანაშაული სწორედ ამ კალმოსნებ—მქადაგებლებსაც მიუძღვით!, იმიტომ რომ ჩვენ სიტყვას, ჩვენ ქადაგებას საქმეთ არ ვაქცევთ ხოლმე და ლამაზ ლამაზი ფრაზებით ვკმაყოფილდებით.

ჩვენ ვიცნობთ ბევრ დიდ „პატრიოტს", რომელიც სახლში თავისს შვილებს ქართულად არ ალაპარაკებს!

ჩვენ ვიცნობთ ბევრს „მოღვაწეს", რომელიც ქართულ გაზეთებს არ კითხულობს —სულიერ კმაყოფილებას ვერა ვპოულობო ჩვენ ვიცნობთ ბევრ „მქადაგებელს" რომელიც მერე, თავის სახლში თითონვე დასცინის თავის თავს და „მუნდირის" ღილებს ჰფერავს, რომ მთელის ბრწყინვალებით წარსდგეს თავის უფროსის წინაშე

ჩვენ ვიცნობთ ჩვენში არსებულ ჯგუფებს, მათ მეთაურებს, მათ თანამშრომლებს... ვიცით რომ ესენი ერთმანეთს სჯამენ, ერთმანეთს ექიშპებიან, ერთი მეორეს ხელს უშლიან, ერთმანეთს მასხრად იგდებენ!..

და ყველა ეს არამც თუ ქართველობაზე ცუდ გავლენას ახდენს, არამედ ხელს უწყობს გარეშეებს, რომ უფრო თამამად დაგვცინონ და დაგვწიხლონ!....

არამც თუ ძლიერნი, ძალის მქონებელნი, ჩინოსანნი და გავლენიანი გარეშეები, არამედ ჰია ღუანიც კი ჩვენს დამცირებაში არიან და საუბედუროდ თავისი გააქვთ კიდეც!

მაგალითისათვის შორს არ წავალთ! ქუთაისში არსებობს ერთი რუსული საგაზეთო ფურცელი.

ამ ფურცელმა თაობითვე არა სასურველი კილო აილო და მოგვევლინა იმიტომ, რომ ქართველები დაემცირებინა,

როდესაც ჩვენ თავითვე შევნიშნეთ ამ ფურცელს მისი საქციელი, [illegible]ბის მაგივრად, დანარჩენმა ქართველმა ჯგუფებმა სიცილი დაგვიყარეს და ჩვენი თავგამოდება საოუნჯოთ გაიხადეს...

დაინახეს რა ეს ამ გაზეთის სულის ჩამდგმელებმა უფრო გათამამდენ და დღეს როგორც გაზეთი მეგობარი" სამართლიანად აღნიშნავს, უკიდურესობამდე მივიდენ: ჩვენს უფლებებს, ჩვენს ვინაობას, ჩვენს კულტურას, ჩვენს წარსულსა და აწმყოს ისე უდიერად იხსენიებენ, გეგონებათ ეს ფურცელი საქართველოში კი არ გამოდის, არამედ ერაძინსა, ან სასომხეთშიო...

აბა, ჩვენ თავის დროზე შეერთებულის ძალით შევებრძოლებოდით ამ გაზეთის ბნელ განზრახვას თუ იგი გაბედავდა ჩვენს ასე აბუჩად აგდებას?

აბა, ქართველ მკითხველს თავის დროზე გაეწია ანგარიში ამ გაზეთისათვის, თუ იგი ასე გათამამდებოდა?

მაგრამ... დაკვირდით კარგად და თქვენ დაინახავთ, რომ არამც თუ ქართველი მოხელე, უბრალო ჩოხოსანი, უბრალო შლიაპოსანიც კი, რომელიც ვაივაგლახით ამტვრევს უცხო ენას მხოლოდ ამ გაზეთს ეტანება და თუმცა ჩათვლით, მაგრამ მაინც სიამოვნებით კითხულობს მას და იმდენად გამოთაყვანებულია,

განა გაგონილა ასეთი უდიერობა, ასეთი კადნიერება? შუა საქართველოში, წმინდა ქართულ ქალაქში ჩვენ—ქართველებს—თავში გვიბრახუნებენ და ჩვენ მაინც სულელებივით ვიღრიჯებით! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: რაც მოგივა დავითაო, ყველა—შენი თავითაო. და ახია ჩვენზე!

რახან ყველას დასაწიხლავი გავხდით, ყველა ჯგუფები უნდა შევერთდეთ — საერო თავმოყვარების დაცვაში მაინც — და მკითხველებს მივცეთ სადი გონებრივი და ზნეობრივი საზრდო.

რახან ვერც დრომ და ვერც გარემოებამ ჭკუა ვერ გვასწავლა, — ჩვენ უნდა ვუჩვენოთ ადგილი ამ ქართველებს, რომლებიც საქართველოს დამამცირებლებს ემსახურებიან კალმით, თუ ენით, სიტყვით თუ საქმით!...

აი, ესენი არიან ჩვენი ქვეყნის მტრები, თორემ გარეშეებთან ჩვენ რა საქმე გვაქვს, ვინაიდგან ყველა თავისას სცდილობს! მაშ, შევეცადნეთ ჩვენც რომ უღირსად არ ვიყვნეთ დაწიხლულნი და უდანაშაულოდ არ ვიქმნეთ შებღალულნი!...

პოლიტიკური მოძრაობა საფრანგეთის დიდი რევოლჲუციის დროს.

(წერილი მეექვსე.)

რესპუბლიკის პირველ ხანაში, ე ი. სექტემბრის ბოლოდან 1793 წლისა ივნისამდის 1793 წ. (როდესაც კონვენტს ძალა დაატანეს და ჟირონდის დეპუტატები გააცემინეს), კონვენტში ჟირონდელებს მეტი გავლენა ჰქონდათ, ვიდრე მონტანჲარებს.

სახელწოდება „ჟირონდელები" შემდგომ მეისტორიეთ მიაკუთნეს ხსენებული ჯგუფის წარმომადგენლებს, მაშინ კი მათ უწოდებდენ „ბრისსოელებს", ბორდოელებს, როლანდელებსა და ბჲუზოელებს. საკუთრად ჟირონდელები იყვნენ: ვერნჲო, გადე, ჟანსონე, დჲუკო, ლაკაზ და სხ.

მონტანჲარები კი ოფიციალურად, 2 ივნისის ძალადობა რომ გაემართლებიათ, მათ ფედერალისტებს უწოდებდენ (როგორც ჩვენში სოციალდემოკრატები ყველა სხვა პარტიას ფეოდალიზმის მომხრეებს).

ეს ჯგუფი უკვე საკანონმდებლო კრების დროს დაარსდა. ჯერ ბრისსომ შეადგინა ჟირონდის დეპუტატებისაგან პატარა ჯგუფი, რომელშიაც შედიოდენ კონდორსე და როლანი, და მალე მას სხვებიც მიემატენ. ისინი სხვადასხვა ალაგას იკრიბებოდენ, სხვათა შორის პარიზის მერის (ქალაქის თავის)—პეტიონის--ბინაზედაც. როცა კონვენტი შეიკრიბა, ჟირონდა, უკეთ ვთქვათ, ბრისსოს ჯგუფი, უკვე შენაწევრებული იყო და, რა დიდი და ძლიერი იყო მისი გავლენა, იქიდან ჩანს, რომ 23 მაისს 1793 წ. მარატი ტრიბუნიდან მას თავისუფლების მკვლელ ორგანიზაციას უწოდებდა აი კიდევ მისი გავლენის მაგალითი: 13-14 აპრილს 1793 წ, როდესაც მარატის სამართალში მიცემას კენჭი უყარეს, 360 დეპუტატში 220-მა მისცა ხმა მის წინააღმდეგ, 99-მა მის სასარგებლოდ, 41-მა თავი შეიკავა და 7-მა საქმის გადადება მოითხოვა.

3 ნოემბერს 1793 წ „საზოგადოების დაცვის" კომიტეტის სახელით ამარმა ჟირონდელებს ბრალი დასდო: მონარქიის დროს რესპუბლიკელნი იყავით, რესპუბლიკის დროს კი როჲალისტებიო. მაგრამ ეს მართალი არ იყო. 10 აგვისტოდან 1792 წ. (მეფობის გაუქმების დღიდან) 2 ივნისამდის 1793 წ. (როდესაც მონტანჲარებმა პირველად დაამარცხეს ჟირონდელები), არ მოიპოვება არცერთი იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ჟირონდელებს მეფობის აღდგენა ნდომოდესთ. პირიქით, თავის პარტიაში მათ რესპუბლიკის იდეის პირველი აღმსარებელი —კონდორსე—მიიწვიეს და სამოქალაქო ომის დროსაც კი—ივნისსა და ივლისში 1793 წლისა—უარს ამბობდენ როჲალისტებთან შეთანხმებაზე.

ერთი სიტყვით, იდეით. მიმართულებით ისინი ასეთივე რესპუბლიკელები იყვნენ, როგორიც მონტანჲარები.

მაგრამ მათი უბედურობა ის იყო, რომ ჩვეულებით, ყოფა-ცხოვრებითა და ქცევით არ იყვნენ ნამდვილი დემოკრატები, ან მდაბიონი.

რაც შეეხება ტერრორისადმი მიდრეკილებას, პირველად არც ჟირონდელები ჩამორჩებოდენ ამ მხრით იაკობელებს. მაგალითად. 31 ოქტ. 1791 წ. ჟირონდელი ისნარი ამბობდა საკანონმდებლო კრებაში, თავისუფლების მტრები უნდა ავხოცოთო. ამასვე იმეორებდა ის 14-ს და 29 ნოემბერს, ამასვე ამბობდენ 26 დეკ. 1791 წ. ჟირონდელი ჟანსონე და 26 სექტ. 1792 წ. ჟირონდელივე ბარბარუ. 4 დეკ. 1792 წ. ჟირონდელის ბჲუზოს წინადადებით კონვენტმა გამოსცა დეკრეტი რომლის ძალითაც როჲალისტები სიკვდილით უნდა დაესაჯათ. ასე გასინჯეთ კონდორსეც კი ეს ღრმა ფილოსოფოსი და ენციკლოპედისტი; ამ აზრს აცავდა (19 იანვ. და 23 თებერ. 1792 წ). 12 აპრილს 1793 წ. პეტიონმა პირველმა სთქვა ხმამაღლა: დამარცხებულნი სიკვდილის ღირსი არიანო. ჟირონდელი ბუაჲე ფონფრედი 17 ივნისს 1793 წ., როდესაც მისი მეგობრები საპყრობილეში ისხდენ, თავის სიტყვაში, რომლითაც ის სიკვდილით სასჯელის გაუქმებას მოითხოვდა. მხოლოდ პოლიტიკურ დამნაშავეთათვის აღიარებდა ამ სასჯელის აუცილებლობას ჟირონდელმა პეტიონმა, რომელსაც შემდეგ მონტანჲარებმა ისე გაუხადეს საქმე, რომ მისი გვამი ძაღლებმა შესჭამეს, 12 აპრილს 1793 წ. პირველმა სთქვა: დამარცხებულნი სიკვდილით უნდა დაისაჯონო და 1792 წ. სექტემბრის მკვლელობათ (ბრბოს მიერ პატიმართა ჟლეტას) პირველად ჟირონდელებიც ამართლებდენ, თუმცა შემდეგ ამ დანაშაულობას მონტანჲარებს აბრალებდენ.

იყვნენ თუ არა ჟირონდელები ნამდვილი ფედერალისტები? უნდოდათ თუ არა მათ საფრანგეთი ისეთ ავტონომიებად დაენაწილებინათ, როგორც ჩრდილო ამერიკის შტატები იყო დანაწილებული? არა! ისინიც ცენტრალისტები იყვნენ, ისინიც უარყოფდენ ნამდვილ ავტონომიასა და ფედერაციას, მაშასადამე, ისინიც გაერთაინებულს, ცენტრალისტურ რესპუბლიკას აღიარებდენ, მხოლოდ მათი აზრით მართვა გამგეობის ცენტრად თვით დედაქალაქი პარიზი კი არა. არამედ საკანონმდებლო კრება უნდა ყოფილიყო 25 სექტ. 1792 წ. ლასურსმა პირველმა გაილაშქრა პარიზის დიქტატურის წინააღმდეგ და წარმოსთქვა კონვენტის ტრიბუნიდან: პარიზის გავლენა, როგორც თვითეული სხვა დეპარტამენტის, საფრანგეთის მხოლოდ 1/83-ის გავლენას უნდა უდრიდესო.

მართალი კი რომა ვსთქვათ, პირველად ჟირონდელებიც არ უარყოფდენ პარიზის უპირატესობას.მაგალითად. ქალბატონი როლანისა 30 ივლისის 1792 წ. ერთს თავის წერილში მთელ იმედს პარიზზე ამყარებდა 1792 წლის ბოლოს ჟირონდელმა ჟანსონემ წარუდგინა კონვენტს კანონპროექტი მუნიციპალიტეტების დიქტატურისა პარიზის მეთაურობით.

მაგრამ 2 სექტემბერს 1792 წ, როდესაც როლანი მეორეჯერ მინისტრად იყო, ზედამხედველმა კომიტეტმა დაადგინა მისი დაპატიმრება. დანტონმა იპატივა. როლანს უნდოდა, მთავრობა სამხრეთისკენ გადაეტანა. ამას წინააღუდგენ დანტონი და მონტანჲარები. და ქალბატონი როლანისა გადაემტერა უკანასკნელთ აქედან იწყება მისი ანტიპარიზული პოლიტიკა. 25 მაისს 1793 წლისა ხომ ჟირონდელმა ისნარმა პარიზს პრეზიდენტის სავარძლიდან თავისი რისხვა და წყევლა-კრულვა შეუთვალა.

ჟირონდელთა მეთაური ბრისსო. იყო, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა განსაკუთრებით საკანონმდებლო კრებაში.მან შეადგინა პირველი ჟირონდული სამინისტრო და 21 მარტს 1792 წ. როლანი სასამართლოს მინისტრად მიიწვია. 1 თებერ. 1793 წ. დეკრეტი, რომლის ძალითაც ინგლისსა და ჰოლლანდიას ომი გამოუცხადეს, მის მიერ წარმოდგენილი მოხსენების შედეგი იყო.

ერთს თავის წიგნაკში (22 მაისს 1793 წ) ის გამოსთქვამს: მამულის განსაცდელისაგან დასახსნელად საჭიროა: 1) პარიზის მუნიციპალიტეტის დათხოვნა და 2) იაკობელთა კლუბის დაკეტვა. აქედან ჩანს, რომ, ჟირონდელებს რომ გაემარჯვნათ, იმასვე უზამდენ იაკობელებს, რაც იაკობელებმა მათ უქნეს. ერთი სიტყვით,იაკობელებმა თუ მათზე ძალა იხმარეს, მიტომ,რომ მხოლოდ ამით შეეძლოთ გადაერჩინათ თავი.

მაგრამ ბრისსო, თუმცა იაკობელები მას „ინტრიგანს" უწოდებენ, პატიოსანი და კაცთმოყვარე იყო. შავკანიანთა მეგობრების საზოგადოება მისი ინიციატივით დაარსდა (1788 წ.). ბრძოლით,ხმლით,რევოლჲუციურ იდეალთა გავრცელება და დამონებულ ხალხთა განთავისუფლება—მისი იდეა იყო.

დიდად განათლებული კაცი იყო და მრავალმხრივი ცოდნა ჰქონდა. ცხოვრობდა ინგლისში, ჰოლლანდიაში, შეერთებულ შტატებში და თავის პოპულჲარულ, სახალხო წერილებში, რომელთაც ბევრი მკითხველი ჰყავდა, საუკეთესოსა და სანდო წყაროებს ემყარებოდა.

უკვე 1789 წ. გამოდიოდა მისი „ევროპის მოამბე", რომელიც რევოლჲუციური პრესის ნიმუშს წარმოადგენდა. და ივლისიდან 1789 წ. ივნისამდის 1793 წლ., ვიდრე მისი პარტია არ დაეცა, ჟირონდელთა გავლენიანი გაზეთის „ფრანგი მამულიშვილის"-რედაქტორ-გამომცემელი ის იყო.

როგორც მწერალსა და ორატორს, გენიალური ნიჭი არა ჰქონდა, მაგრამ მაგიერად ნათელი გონებით, ცოდნითა და მედგარი ხასიათით აღჭურვილი იყო. და საფრანგეთში არ იყო კაცი—მირაბოს გარდა, —რომ საფრანგეთი და მთელი ქვეყანა მისებრ კარგად ჰქონოდა შესწავლილი.

მეორე დიდი პიროვნება—ვერნჲო—თუმცა დიდი ორატორი, მჭევრ-მეტყველი, იყო, მაგრამ საქმიანობის ნიჭი არა ჰქონდა.

გადე—გულწრფელი რესპუბლიკელი იყო. ქალბატონ როლანისას რომ ხელში

გაზ. „სამშობლოს“ კანტორა

პატივისცემით მოაგონებს თავის წლიურ ხელის-მომწერთ, დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა. უკიდურეს შემთხვევაში აგვისტოს პირველიდან მათ გაზეთი აღარ გაეგზავნებათ,

მაგრამ, ვაი, რომ ყველა ჩვენი ნათქვამი ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება მხოლოდ და მარტო სიტყვებად, მხოლოდ და მარტო კეთილ სურვილად, ვინაიდგან ქართველობა ჯერ იმდენად ვერ გამოფხიზლებულვართ, რომ შინაური ჭიაღუები მაინც ავლაგმოთ.

ამისთვის საჭიროა ძლიერი და ღონიერი პრესა, შეგნებული პროტესტი და შეერთებული ძალა გონებრივი და ქონებრივი!

ჩვენში კი ვისაც გული ერჩის სამუშაოდ, ქონება არა აქვს და ვისაც ქონება აქვს, ამას კიდევ გული არა აქვს, რომ საზოგადო საქმეს ძალუმად დაეხმაროს.. ახია ჩვენზე, რაც მოგვივა!....

ქართული პრესა.

თუმცა გაზეთი „მეგობარი“ ჩვენი გმობის მეტს არას აკეთებს, მაგრამ არ შეგვიძლია არ გავიზიაროთ მისი აღშფოთება იმ უმსგავსო წერილის გამო, რომელიც დაბეჭდილი იყო ადგილობრივ რუსულ გაზეთში.

გაზეთი „მეგობარი“ სწერს:

მართალია, დღევანდელი საქართველო დაჭრილს და დაიარებულს ლომს წააგავს, მაგრამ იგი ამ ჭრილობებისაგან ჯერჯერობით არც ისეა ქანც-მილეული, რომ მას თამამათ სძვენიდეს კლანჭებს ყოველი ოთხფეხი. ჯერ კიდევ არ ვართ ეგზომ მოდუნებული, უმწეო და უპატრონოები, რომ გერმან-ტერ-ავაკოვების პროვოკატორულ მალაყებს ჩვენში გასავალი ექნეს და ან მათმა შხამმა სასიკვდილო ზიანი მოგვაყენოს. მაგრამ მაინც აღშფოთებას იწვევს ჩვენში მათი მდაბალი განზრახვანი, სისხლს გვიმღვრევს მათი გაიძვერული თავხედობა, გვაშფოთებს ის, რომ დღევანდელი ჩვენი მწარე ბედის მეოხებით, დღეს ისეთი წვრილფეხა პარაზიტებიც კი, ჩვენს კბენას ლამობენ. დაუკვირდით რას სწერენ „Кут. вѣсти“ ჩვენს შესახებ:

„დაიპყრო რუსის ჯარმა ჭანეთი:—ქართველები ყვირიან:

მოგვეცით იგი ჩვენ!

აღიძრება საკითხი შავი-ზღვის სანაპიროების დასახლების შესახებ,—იგინი კვლავ ყვირიან;

— მოგვეცით იგი ჩვენ!

მიეცეს მათ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სასიამოვნოა ქართველების ეროვნული თავმოყვარეობისათვის.

მიეცესთ კიდევ იმიტომ, რომ იქ და იქ საჭიროა ქართული კულტურა. ჩვენ გვსმენია ბერძნულ კულტურაზე, რომაულ კულტურაზე, ასირიულზე, ჩინურზე, არაბულზე, ეგვიპტურ კულტურაზე.

მაგრამ ქართული კულტურისა არსად არაფერი გვსმენია.

თუ ოდესმე საქართველოს ჰქონია კულტურა, კულტურა იგი ყოფილა ბერძნული.

მადა აშლილი, მხეცური ნაციონალიზმით გაჟღენთილი ქართველი პუბლიცისტები, როდესაც მონაგებია გასაყოფი ყვირიან:

— ჩვენ მოგვეცით!

მაგრამ როდესაც შრომაა საჭირო მოსაგების მისაღებათ, იგინი ამბობენ:

— უკეთესია ჩვენ ხელს ნუ გვახლებთ!

. . . . . .

. . . . . .

არის რუსული ანდაზა:

— ტიტე პური გალეწე!
მუცელი მტკივა!
ტიტე მაწონი ჭამე!
სად არის ჩემი დიდი კოვზი!“.

აი, ასეთი საქმის დამთესნი არიან ის ვაჟბატონები, რომელნიც ქუთაისის რუსულ სარეკლამო ფურცელში დაბუდებულან და დღემდე ჩვენდა სასირცხვოდ ჩვენს შორის კიდევ მოიპოვებიან ისეთი ქართველები, რომლებიც ოჯახებში თუ სხვა და სხვა დაწესებულებებში დიდის სიამოვნებით ხვდებიან მათ და მათი განდევნის მაგივრათ ზოგიერთი ფულებსაც სთავაზობს, და სხვა სახით, რადგან .. ალბათ მათ გადაგვარებულ არსებას ავაკოვ-გერმანებისთანა გარეწარნი ეპიგრებიან!

მაგრად არის ნათქვამი, მაგრამ სამართლიანად კი!

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

◆ გუშინ, დღის პირველ საათზე, ქუთაისში ჩამობრძანდენ ეგსარხოსი საქართველოისა ყოვლად სამღვდელო პლატონი და უწმ. სინოდის ობერ-პროკურორი. სადგურზე მათ შეხვდენ ქალაქის თავი, პოლიცმეისტერი და სხვა მოხელენი.

წარჩინებული სტუმრები სადგურიდან პირდაპირ საკრებულო ტაძრისკენ გაემართნენ, სადაც მათ უცდიდა შემოსილი სამღვდელოება.

◆ გუშინ თბილისის გაზეთები თვის დროზე ვერ მივიღეთ. გზაში მატარებელი გაფუჭებულა და თითქმის ხუთი საათი დააგვიანდა.

◆ როგორც ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი გვატყობინებს, პირველ ენკენისთვის აუცილებლად უნდა გაიხსნას ათი პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი; ერთი ბათუმში, ერთი ქობულეთში, სამი გურიაში და დანარჩენი იმერეთში.

◆ გუშინ წინ ქუაისში დეპეშა მოვიდა, რომ ჩვენი ცნობილი პუბლიცისტი გ. ფ. ზდანოვიჩი, რომელიც ამ ჟამად ქობულეთში იმყოფება, კვლავ მძიმე ავად გამხდარა. ექიმებს იმედი აქვთ რომ ავადმყოფი მალე მოიკეთებს

წარჩინებული სტუმრები. შუშინ, ქუთაისში ჩამობრძანდენ საქართველოს ეგზარხოსი ყვლად სამღვდელო პლატონი და უწმ. სინოდის ობერ პროკურორი ბ-ნი ვოლჟინი, რომელთაც თან ახლდენ არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა) და სხვა მოხელენი.

ჯერ ისევ დილით გავარდა ხმა ამ წარჩინებულ სტუმართა ჩამოსვლის შესახებ და მთელი ქუთაისი მოუთმენლად მოელოდა მათ დანახვას, მაგრამ მატარებელმა დაიგვიანა და თითქმის ორის ნახევრამდე მოუხდათ ცდა.

ქალაქის სამღვდელოება და ყოვლად სამღვდელო გიორგი, ეპისკოპოსი იმერეთისა 12 საათიდან შემოსილები უცდიდენ. საკრებულო ტაძარი ხალხით იყო სავსე და ყური კარებისაკენ ეჭირათ.

მეორე საათზე ხალხში ჩოჩქოლი ჩავარდა, სამრეკლოზე ზარების რეკა ატყდა.

საკრებულო ტაძრის კარებში გამოჩნდა მისი უსამღვდელესობა ეგზარხოსი საქართველოისა პლატონი, მის გვერდით იდგა ბ-ნი ვოლჟინი.

ყოვლად სამღვდელო გიორგი მიეგება და საგულისხმო სიტყვით მიჰმართა.

ყოვლად სამღვდელო შეეხო საერთოდ საქართველოისა და კერძოდ იმერეთის სამღვდელოების გაჭირვებულ მდგომარეობას, აღნიშნა ისიც, რომ სამღვდელოებასა და მრევლ შორის არ არის კეთილი განწყობილება და ამის მიზეზი ის არისო, რომ მღვდელი და ერი სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობენ„, ეკლესია და ხალხი დაშორებულია ერთი მეორეს, რისთვისაც საჭიროა ეკლესიისა და ხალხს შორის ჩამოვარდეს ძველებური ურთიერთობა და ეს მხოლოდ მაშინ მოხდება,როცა საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდება ყველა ის, რომლის შესახებაც თქვენ კარგად მოგეხსენებათო—ბრძანა ყოვლად სამღვდელომ და განაგრძო: ამას ხმამაღლა იმიტომ ვამბობ, რომ ჩემ თანამწირველებს ჰგონიათ,ვითომც ჩვენ,—ქართველი ეპისკოპოსები—მარტო ჩვენ თავზე ვზრუნავთ და ჩვენი სამწყსო კი დავიწყებული გვყავსო...

ამ მოკლე სიტყვის შემდეგ ყოვლად სამღვდელო გიორგიმ ეგზარხს ჯვარი გადასცა—გვაკურთხეო. ყოვლად უსამღვდელოესმა ხალხს ჯვარი გადასახა და დაიწყო მცირე პარაკლისი.

მცირე პარაკლისის შემდეგ ეგზარხოსმა წარმოთქვა სიტყვა და სთხოვა საზოგადოებას, მიიღოს ყველამ აქტიური მონაწილეობა ბრძოლის ველზე დაღუპულთა ობლობის თავშესაფარის დაარსებაში დიდი თავშესაფარი უნდა, დაარსდეს თბილისში და თუ ქუთაისში ვერ ახერხებენ ცალკე დაარსებას, იმ შემთხვევაში სასურველია შეუერთდენ თბილისელებსო.

სამი საათის ნახევარზე ეგსარხოსი და პროკურორი წავიდნენ სადარბაზოთ გუბერნატორთან და იქედან ყოვლად სამღვდელო გიორგისთან. დღეს საღამოს ინახულებენ გელათისა და მოწამეთის მონასტრებს, შემდეგ ღამის მატარალებლით გაემგზავრებიან ფოთს.

რუსული პრესა.

გაზეთ „პეტროგრადის უწყებაში“ (№146 ბ-ნი მანავსკი არჩევს,რა ახალგაზდა მკვლევარის ვეშაპელის წიგნაკს „ოსმალეთის საქართველო და ლაზისტანი“ სხვათა შორის ამბობს.

„ყველაზე საინტერესო განყოფილებას ვეშაპელის წიგნისა, არის მესამე თავი, სადაც ბ-ნი ვეშაპელი ეხება სომეხთა ავტონომიას და ოსმალეთის საქართველოს.

ჩვენი „აღმოსავლეთის პოლიტიკა“ ამდეხანს ყურადღებით არ ეკიდებოდა ოსმალეთის საქართველოს და მხოლოდ სომხების საკითხის გარშემო ტრიალებდა. ასეთი საქციელი როგორც სამართლიანად ამბობს ბ-ნი ვეშაპელი, იმ მოსაზრებით აიხსნება, რომ საქართველომ თითქოს უკვე შეასრულა თავის როლი, ვინაიდან რუსეთმა ფეხი მოიკიდა მთელ კავკასიაში.

სომხეთი კი რუსეთს გზას აძლევს მცირე აზიისაკენ. მაგრამ უფრო დაკვირვებით რომ ემოქმედნათ რუსეთის დიპლომატებს, მიხვდებოდნენ, რომ ამ მხრივ ოსმალეთის საქართველო მეტს ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდგან ჩეკრინ-ირმანის გზა გვიახლოვებს სხვა და სხვა სრუტეებს და ამით ამრგვალებს შავი ზღვის მოხაზულებას. ამიტომ თუ არ გავიზიარებთ დაძველებულ აზრს რუსეთის პოლიტიკისას, დავრწმუნდებით, რომ მომავალი სომხეთი მხოლოდ ერთგვარი იარაღია ჩვენი აღმოსავლეთ პოლიტიკისა მაგრამ ბ-ნ ვეშაპელს გამოეპარა ერთი რამ. როდესაც ის უკანასკნელი რეფორმების განმარტებას შეუდგა, რომელიც დაიწყო რუსეთმა 1913 წლის აპრილის 8 ს და დამთავრდა ბერლინის შეთანხმებით 1914 წელს, ვეშაპელმა არ აღნიშნა უმთავრესი მხარე ამ რეფორმისა ამ რეფორმამ არსებითად ოსმალეთის საქართველოს ინტერესები დასხვრა, ვინაიდგან მისი ერთი ნაწილი სომხეთს შეუერთეს. გერმანელთა და ოსმალეთის პოლიტიკა აშკარაა, ამით მათ შექმნეს ისეთი მდგომარეობა, რომ სომხების ხმა შეამცირეს მაჰმადიანთა ხმის უმრავლესობით. ბ-ნი ვეშაპელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ოსმალ გერმანელთა ამ ანკესს ვერ გაექცა ჩვენი ქარაფშუტა პოლიტიკოსი მილიუკოვი, რომელიც შიშობდა რომ ავტონომიურმა სომხეთმა ალექსანდრეტით ხმელთა შუა ზღვისაკენ არ ლაიღოსო და სომხების დასაჩუქრება იმითი მოინდომა რომ ტრაპიზონით შავ ზღვას დაუახლოვა. ამ გულუბრყვილო პროექტზე ლაპარაკიც არა ღირს რადგანაც ჩვენმა გამარჯვებამ ეს პროექტი თავის თავად მოსპო, მაგრამ დაუფიქრებელი საქციელი მილიუკოვისა რასაკვირველია დასაგმობია და ბ-ნი ვეშაპელიც ღირსეულად ასრულებს ამას.

ზოგიერთი ფაქტიური შენიშვნა.

III

წინა წერილში ჩვენ ის აზრი გამავსთქვით, რომ რუსეთის სოციალდემოკრატიას იდეური ხელმძღვანელნი არა თუ ეწინაღმდეგებოდენ ეროვნულ თვითმართველობის პრინციპს. პირიქით ენერგიულად ესარჩლებოდენ იცავდენ ა პრინციპ და ის ოფიციალურ პროგრამაშიაც გაატარეს

ამ დებულების დასამტკიცებლად მე შემიძლია საკმარისი ფაქტები მოვიყვანო.

1902 წელს ჟურნალ „ზარიას“ მესამე ნომერში წერილი იყო მოთავსებული შემდეგის სათაურით: „სოციალდემოკრატია როგორც ეროვნებათა განთავისუფლების იდეის მატარებელი“. ამ წერილში მკაფიოდ იყო გამოთქმული, რომ სოციალდემოკრატია დამორჩილებულ ერთვნებათ ეროვნულ თვითმართველობას ,ან ანიჭებსო.

როდესაც მეორე სიეზდზე პროგრამის პროექტის მე 9 მუხლი ირჩეოდა, მუხლი ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, ერთმა დელეგატმა იკითხა არა უნდა მოითხოვონ ერებმა ზედმეტი იმისა, რასაც ჩვენი პროგრამა მოითხოვსო! ამაზე საპროგრამო კომისიის წევრმა მარტინოვმა განმარტა: მათ შეუძლია დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულის შექმნა მომოისურვონო. ამით მარტინოვმა ცხად ჰყო ყველასათვის, ვისაც რისიმე გაგების უნარი ქონდა, რომ იმ ერებს, რომელიც არსებულ სახელმწიფოს ფარგლებში დარჩებიან, მაშასადამე რუსეთს არ გამოეთიშება, თავის საკუთარ საქმეების მოწესრიგებისათვის თვით არსებობა ენიჭებაო.

მე კარგად მესმის, რომ ჩვენს მკითხველთათ ძნელი იქნება ამაზე დათანხმება, მაგრამ ჩვენ მაინც გულს არ გავიტეხთ და ვსთხოვთ მათ კარგად ჩაუკვირდენ თვით პროგრამის ტექსტ, რომელიც ამბობს: Областное самоуправленіе для мѣстностей, отличающихся особенностью языка, состава населенія, вѣроисповѣданія, нравовъ и обычаевъ (საოლქო თვით მართველობა იმ ადგილები რომელინიც განსხვავდებიან ენით, სთვისმც ხოვრებთა შემადგენლობით, სარწმუ-ნოებით, და ზნე ჩვეულებით.)

ეს მოთხოვნილება თუმცა ძლიერ ნაკლებია, მაგრამ ჩვენში ის დღემდის ვერ გაუგიათ. პროგრამა მოითხოვს საოლქო თვით მართველობას, რომლის საზღვარი შემოფარგლულია განსაზღვრულ ტერიტორიას სადაც მცხოვრებთა განსხვავებული განსაზღრული შემადგენლობა განსხვავებული ენა, სარწმუნოება. და ზნეჩვეულება სუფევს აქ ჩამოთვლილია ყველა ის ნიშნები, რომელიც ახასიათებს ეროვნებას, მაშასადამე საოლქო თვით მართველობა ეს ეროვნულ სხეულის თვითმართველობა's, ანუ ავტონომიას ნიშნავს განა ცხადზე უცხადესი არ არის, რომ ენა, ზნე-ჩვეულება სარწმუნოებასთან მჭიდროთ შეკავშირებულია განსხვავებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლის მოსაწერიგებლად განსხვავებული ნორმებია საჭირო.

საოლქო თვითმართველ ორგანოს, რომლის არსებობა ეროვნულ თავისებურებით არის გამოწვევული, უფლებაც უნდა ქონდეს ამ ნორმების გამოცემის,

ნათქვამიც სრულიად საკმარისია ჩემ დებულებათა დასამტკიცებლად: მაგრამ მე კარგად ვიცი, რომ საუბარი მიხდება ისეთ მკითხველებთან, რომელთათვის მნიშვნელობა ლოღიკას კი არა, ავტორიტეტს აქვს, რომელნიც იმას კი არ აქცევენ ყურადღებას, თუ როგორ არის გამოთქმული აზრი დამტკიცებული, არამედ იმას, თუ ვინ არის თვით აზრის გამომთქმელი, ამიტომ მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს რუსეთის სოციალ დემოკრატიის მეთაურების (აზრი მე ავტორიტეტისკენ მივიქციე) აზრებიც მოვიყვანო საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად, თუმც იმ კრებთა წინაშე, რომელთაც ჩვენში ყველაფერს ბრმად უჯერებენ თვით ღმერთიც უძლური არის.

1906 წელს ქ. სტოკჰოლმში რუსეთის სოციალდემოკრატიის ეგრედწოდებული გამაერთიანებელი სიეზდი მოხდა რომელზედაც სხვათა შორის აგრარული საკითხი იქმნა გარჩეული.*)

სიეზდმა მიიღო აგრედ წოდებული „მუნიციპალიზაციის“ პროგრამა, რომლის ძალით მიწა „ადგილობრივ და საოლქო თვითმართველობათა ხელში უნდა გადასულიყო.

საკითხი აღიძრა, თუ რას ნიშნავს ეს

ჩაუვარდა, თანდათან უფრო შესძულდა „მთა„ (უკიდურესი მემარცხენე ფრთა კონვენტისა). მარტში1793 წ. დანტონმა „მთისა“ და „ჟირონდის“ შერიგება მოინდომა, მაგრამ მან შეუშალა ხელი. აი რა უთხრა მაშინ მას დანტონმა: „გადე, შენ არა გაქვს უნარი, შენი აზრი მამულს სხვერპლად შესწირო; პატივების ნიჭი არა გაქვს; ამიტომ შენი ჟინიანობის სხვერპლი პირველი შენ იქნები“. და ეს წინასწარმეტყველება, როგორც ვიცით, გამართლდა. საშინელი დამცინველი და გესლიანი ენა ჰქონდა. მაგალითად, მაისში 1793 წ. ჟირონდელთა დაცემა მისმა გესლიანმა დაცინვამ დააჩქარა.

ენციკლოპედისტი კონდორსე, დიდი მოაზრე, პირველად დანტონს უჭერდა მხარს და შერიგების პოლიტიკას იცავდა. მაგრამ, როდესაც შეატყო, რომ მონტანჲარებს მის მიერ შედგენილი კონსტიტუციის კანონპროექტის განხორციელება არა სწადდათ, გამოეყო „მთას“ და ჟირონდელებს მიემხრო. გესლიანი და რამდენადმე უსამართლო კრიტიკა უძღვნა მონტანჲარების მიერ შედგენილ პროექტს და ხელი მოაწერა ენის დეპუტატების პროტესტს, მიმართულს 31 მაისისა და 2 ივნისის ამბების (კონვენტზე ძალადობის) წინააღმდეგ. მისი დაპატიმრება 8 ივნისს გადასწყდა, მაგრამ გაიქცა და მისწერა კონვენტს: როდესაც კონვენტი თავისუფალი არ არის, მისი კანონები სავალდებულო არ არიანო და მონტანჲარებს უეჭველად მეფობის აღდგენა სწადიათო.

გადე და ვერნჲო ბორდოს სადვოკატო კორპორაციის წევრები იყვნენ. იმავე კორპორაციას ეკუთნოდა ადვოკატი ჟანსონე, რომელიც ჯერ ზომიერებისა და შერიგების პოლიტიკას იცავდა, მაგრამ შემდეგ ისეთისავე ენერგიით ებრძოდა „მთას, როგორც გადე. სერიოზული, კეთილსინიდისიერი იყო, მაგრამ „მთასთან“ შეურიგებლობას სხვათა შორის ისიც თანშეეწია

თვითონ როლანი მისი მეუღლის ხელში უბრალო იარაღი იყო. ქალბატონი როლანისა მაღალი გონებითა და კეთილშობილი სულით მომადლებული იყო, მაგრამ გადამეტებული თავმოყვარეობა ჰქონდა, ვინც მას თაყვანსა სცემდა, ის მიაჩნდა სასარგებლოდ და კარგად. ამასთანავე, როგორც მისი „მემუარებიდანა“ ჩანს, გარეგან სილამაზეს დიდ ყურადღებას აქცევდა. აი, მაგალითად, რასა სწერს დანტონის შესახებ: „ხშირად მომეჩვენებოდა ხოლმე, რომ დანტონი ხანჯლით ხელში მკვლელთა ბრბოს აქეზებს... ან, როგორც სარდანაპალი, სახის კმაყოფილი გამომეტყველებით, ბოროტი რომა ქმნა“. სხვათა შორის როლანის ქალბატონის ბრალიც იყო, შერიგება რომ არ მოხდა. განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა ქალბატონ როლანისას აგრეთვე ბჲუზოსა, ბარბარუსა და ლუვეზე.

ბჲუზოს თითქმის ისეთივე სახელი ჰქონდა დამფუძნებელ კრებაში, როგორც რობესპჲერსა და პეტიონს. და, თუმცა მერყევი ნების პატრონი და მეოცნებე იყო, მაგრამ ისე ჩაუვარდა ხელში ქალბატონ როლანისას, რომ მისი მჭერმეტყველება შურისმეძიებელი და მწყრომელობითი შეიქმნა და, თუმცა დამფუძნებელ კრებაში გაერთიანებულის, უნიტარული საფრანგეთის მომხრე იყო, კონვენტში ფედერალიზმს იცავდა და პარიზის გავლენას წინააღმდეგობდა.

ბარბარუ, ახალგაზდა, ლამაზი, მაგრამ იდეური მხრით მწირი, როცა კი მიზეზს პოულობდა, რობესპჲერის წინააღმდეგ ტრიბუნიდან გაფთრებული ლაპარაკობდა.

რაც შეეხება ლუვეს, ეს გონებამახვილი ავტორი ვობლაზისა, რობესპჲერსა და მონტანჲარებს უფრო მოთხრობებით სდევნიდა და მასში ოცნება გონიერებას იმდენად სჭარბობდა, რომ მონტანჲარების როჲალისტობა გულწრფელად სწამდა.

დანარჩენ ჟირონდელთა შორის შესანიშნავი იყვნენ: მჭერმეტყველი ისნარი, რომელმაც, როგორც ვიცით, პარიზი დასწყევლა; ბრეტონელი ლჲანჟჲუნე, მედგარი, გმირი 2 ივნისისა; ლასურსი, რომელსაც ეკუთნოდა ფორმულა, პარიზის გავლენა დეპარტამენტთა რაოდენობის ოთხმოცდამესამედამდის უნდა დავიდესო; რაბო სენტ-ეტჲენნი, ნახევრად სოციალისტი; კერსენი, მანჲუელი, დჲუფრიშ-ვალაზე, სალლი; პეტიონი, რომელმაც კონვენტის გახსნის დროს საშუალო ადგილი დაიჭირა და შუამავლობა იდვა თავს, მაგრამ შემდეგ (12 აპრილს 1793 წ) პირდაპირ შეებრძოლა თავის ყოფილ მეგობარს—რობესპჲერსა და, როდესაც სასჯელი გადაუწყვიტეს, ყველაზე უფრო შურისმეძიებელი შეიქნა, სამოქალაქო ომს თანაუგრძნობდა და მარატის მკვლელის შარლოტა კორდეს საქციელს საქებურად აღიარებდა.

ასეთი იყო ჟირონდელთა ჯგუფი, ჯგუფი ფილოსოფოსთა და ადვოკატთა, მწიგნობართა და მჭერმეტყველთა. მათი პოლიტიკური მრწამსი დემოკრატიული იყო, მაგრამ მათი ქცევა არა; და, რასაკვირველია დემოკრატიული მოძრაობის დროს ხალხი, დემოკრატია, მათ არ ენდო და არა გაჰყვა ეს იყო მათი დაღუპვის მიზეზი.

ვასილ წერეთელი.

ამ სიეზდზე რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიას პოლონეთის სოციალდემოკრატიაც შეუერთდა. უკანასკნელმა თავისი წარმომადგენლები 1903 წლის დამფუძნებელ სიეზდზედაც გამოაგზავნა იმპერატიულ მანდატებით, ისინი მოითხოვდენ, რომ სიეზდს უარეყო თვითგამორკვევის უფლება პოლონელ ერისთვის, მაგრამ სიეზდმა სეთი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა და ამიტომაც პოლონელ დელეგატებმა სიეზდი კიდევაც დასტოვეს. სტოკჰოლმის სიეზდზედაც პოლონელებმა მოითხოვეს—უარყოფით პოლონელ ერის დამფუძნებელ კრებას (ასეთ კრებას პეპეესის პ რტია მოითხოვს) მაგრამ სიეზდი მაზედაც არ დათანხმდა. აი ასეთ ხალხს ფედერალისტები ეროვნებათა მდევნელ პოლიტიკის მოტრფიალედ სახავენ. ვ. ე.

სოლქო. თვითმართველობა, იგულისხმება თუ არა მასში ის თვითმართველობა, რომელიც ნაციონალურ პროგრამაშია აღნიშნული, თუ ის, რომელიც ადმინისტრატიულ ერთეულს შეიცავს. ამის გამო რუსეთის სოციალ დემოკრატიის ერთმა თვალსაჩინო ხელმძღვანელთაგანმა დანმა განაცხადა: რომ არ აურიონ ერთმანეთში სოლქო თვითმართველობა, რომლის ხელში ჩვენი პროგრამის თანახმად მიწა უნდა გადავიდეს და სოლქო თვითმართველობა, რომელიც ნაციონალურ პროგრამაშია მოთავსებული და რომელიც ეროვნულ სხეულს შეიცავს (Охватываетъ національное тѣло), მე წინადადებას ვიძლევი ეს მუხლი ამნაირად იქნას გამოთქმული:

გადაეცეს მიწა სოლქო თვითმართველობას, რომელიც ქალაქის და სოფლის თემებს შეიცავენ Объедняющихъ городскіе и сельскіе округа) სიეზდმა ერთხმად მიიღო ეს შესწორება.

სტოკჰოლმის სიეზდს რუსეთის სოციალდემოკრატიის ყველა საუკეთესო წარმომადგენელნი დიესწრენ, მასში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოდან დელეგატების მთელი ჯარი, მაგრამ არ ვის კრინტიც არ დაუძრავს იმ განმარტების წინააღმდეგ, რომელიც დანმა სოლქო თვითმართველობას მისცა.

1912 წელს ერთ საზღვარეთ გამოსულ ორგანოში პლეხანოვმა უსაყვედურა ქართველ სოციალ-დემოკრატებს: თქვენ უარყოფთ პროლეტარიატის გეგემონიას და თვითონ კი ბუნდის გეგომონიას დაემორჩილეთ და იმის მაგიერ, რომ პოლიტიკური ავტონომია მოგეთხოვათ, კულტურულ ავტონომიას ებღაუჭებით, რომელიც სოციალიზმის შეგუებაა ნაციონალიზმთანო, მხოლოდ როდესაც ბუნდი კულტურულ თვითმართველობას მოითხოვს, საბუთად ის მოსაზრება მოყავს, რომ ებრაელებს საკუთარი ტერიტორია არა აქვთ, თქვენ კი გაქვთ საკუთარი ტერიტორიაო. საინტერესოა აგრეთვე ლენინის აზრი ამ საკითხზე, ვინაიდგან ლენინი თვალსაჩინო როლს თამაშობდა სოციალ-დემოკრატიის ოფიციალურ პროგრამის შემუშავებაში.

მოსალოდნელი იყო, რომ ეროვნულ საკითხში სწორედ ლენინი დაიკავებდა იმ პოზიციას, რომელსაც ჩვენში მისი ფრაქციული ამხანაგები „მოგზაურის“ პუბლიცისტები იცავდენ, ვინაიდგან სწორედ ლენინმა და მისმა მიმდევრებმა ბევრი ყიზილბაშური ელემენტი შეიტანეს რუსეთის სოციალდემოკრატიაში. მაგრამ ლენინი, მრავალ ნაკლულევანებათა მიუხედავათ საკმარისად განათლებული პიროვნებაა, რომ დემოკრატიზმის სახელით ასეთი ბარბაროსული საქციელი არ ჩაედინა, ვინაიდგან სოციალ დემოკრატიის მხრივ თვითმართველობის უარყოფა ისეთივე აბსურდია, contra dictio in adiecto როგორც მაგალითად პოლიტიკური თავისუფლების უარყოფა.

ვლ. ემუხვარი.

(შემდეგი იქნება)

პროვინციის ცხოვრება.

სოფელ ხუნწი. (სენაკის მაზრა). აქ ძლიერ სოფ. ხუნწი გაშენებულია ნთაგორიან ადგილზე, მიწა მცირე ნაყოფს იძლევა და ამისთვის მცხოვრები იძულებულია შეიძინოს სარჩო ადგილობრივ ვაჭრებიდან რომლებიც ტყავს აძრობენ ისედაც ცუდპირობებში მყოფ მშრომელ ხალხს. ამ სოფელს გვერდზე ჩამოუდის მდ. ცხენის წყალი. მდინარით უმეტეს ნაწილათ სარგებლობს შემდგარი „ამხანაგობა“: იტალიელები, ვიღაც ებრაელი და სხვ. სარგებლობა გამოიხატება იმაში რო წყლით ჩამოაქვთ ათი ათასობით ხეები. ტივებით ჩამოზიდვა რათქმა უნდა ხელს არ მიცემს და, რასაკვირველია უფრო მეტიც დაუჯდებათ, ამისათვის მიუნდვიათ მდინარისათვის ამ უთვალავი ხეების ჩაზიდვა დანიშნულ ადგილამდი. მდინარე ამ ხეებს ხან ერთ ადგილზე შეუყრის თავს (ჯორგათ) და ხან მეორეზე, რაც ხშირად წყალს ერთალაგას აგუბებს; ადიდებული აწვება ნაპირებს, თანდათან გლეჯს მშრომელი გლეხის ნაშრომ ნაოფლს, ოფლით მორწყულ. ყანას და რამოდენიმე ქცეობით ანადგურებს. ასეთ პირობებში ჩავარნილი მცხოვრებლები ხშირად სულ აიყრებიან ხოლმე მშვენიერი გაშენებული ადგილ მამული მდინარეს გამოუდევარ რიყეთ უქცევია ზემოხსენებული კამპანიის „წყალობით. დრო არის მცხოვრებლებმა დაიცვან თავიანთი ნაშრომი-ნაცოდინარი ადგილმამული. ასეთ განადგურებისაგან და მოითხოვონ სადაც ჯერ არს ამ გარამოება ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ. ამ მხრით მდინარე მავნებელი. გამოდგა მცხოვრებლებისათვის ჩვენ სოფელში არ მოიძებნება არავითარი კულტურული დაწესებულება გარდა ერთ კლასიან საეკლესიო სკოლისა. ამ სოფლის უმაღლეს სწავლა დამთავრებულ ოჯახის შვილებს სულ დავიწყებიმთ თავიანთი მოვალეობა, რომ დღევანდელ პირობებთა წყალობით აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნილ მცხოვრებლებს რაიმე საშუალება გამოუნახოს და ამით აალდინოს ჩარჩების ხელში ჩაცვივნას. ნუ თუ 400 კომლ მცხოვრებს არ შეუძლია დაარსოს კოოპერატიულ დუქანი და სხვა რამ კულტურული დაწესებულეა? მაგრამ ამას უნდა ხელმძღვანელი და ჩვენი სოფლის მოწინავე ინტელიგენცია კი ამაზე სრულებით არ ფიქრობს.

გრიგოლ ჩიქოვანი.

პასუხი,

ღია ბარათზე.

კაცხის ორ—კლ. სამ. სასწ. ზედამხ. დვინიძეს ბ. დვინიძევ, წავიკითხე თქვენი ღია ბარათი მოთავსებული პატივცემულ გაზეთ „ახალი კვალის“ მე № 26—ში და თუმცა არიან ქვეყნად პირნი, ვისაგან არაფერს არ გაიკვირებს ადამიანი, მაგრამ ღია ბარათში ასეთი სასაცილოს მოთავსებამ, სწორედ გამაოცა რათა ერთის მხრივ თავიდგან აგიშორო ჩემ წინააღმდეგ თქვენგან წამოყენებული ცილის წამებანი ხოლო მეორე მხრივ კი დავანახვო ყველას, რომ თქვენ ჩემდამი პირადი ინტერესები გალაპარაკებთ შეუწყნარებელ ჭორებს და არა სიმართლის აღნიშვნის სურვილი, ვეცდები თქვენსავე სასარგებლოდ გადამახინჯებული ფაქტები რამოდენიმეთ გავაშუქო და ამით საქმის მსვლელობას სახე შეუცვალო!!

თქვენ ბრძანებთ ბ. დვინიძევ, რომ 1) მე შემოვიჭერი თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელში ძალით; 2,) მოვინდომე ფიზიკურად თქვენთან გასწორება, და 3,) ვმოქმედობ მასწავ შეუსაბამოდ. მეც დაგეხმარებით და მოვყვები ჩვენდამო რწმუნებულ სასწავლებელთა ცხოვრებიდგან იმ ფაქტს, რომელსაც თქვენ, ღია ბარათში გაკვრით იხსენიებთ და ნამდვილად იგი სავსებით ახსნის ყველა თქვენ ბრალდებათა მუხლებს: 7 მაისს თ. ლეონიძემ (თქვენდამო რწმუნებული სასწ. საპატიო მზრუნველმა) რათა ნათელ ეყო თქვენგნივ მოწაფეებთან რვეულების საკმაოდ აწეულ ფასებში ვაჭრობის საკითხი, მიმიწვია ჩემი მოწაფეები თურთ თქვენდამო რწმუნებულ სასწავლებელში, როგორც ამ საკითხით დაინტერესებული და საქმის ვითარებასთან საკმაოდ გაცნობილი პირი. მეც დანიშნულ დროზე გამოვცხადდი მოწაფეებით ამ გვარად ჩემი შემოხედვა თქვენ, ბუნებრივად, არ გესიამოვნათ, დატრიალდით „уходите“ მომაძახეთ, ხოლო ჩემ მოწაფეებს კი გააფთრებული სახით და საშინელი მაღალი ხმით მიიწვევდით ამოსულიყვენ თქვენთან. მაგრამ ასეთი „პედაგოგიური“, ზომების მიღებით დაფეთებული მოწაფეები ჩემ კაბის კალთას ეკვროდენ და სრულიად ფერ დაკარგულნი და აკანკალებულნი „ბატონო არ წახვიდეთო“ გულ—საგმირად მეძახდენ.

გავითვალისწინე თუ არა რაშიც იყო საქმე ჩემი მოწაფეები ისევ სასწავლებელში მივაბრუნე. რა გამოვიდა ამით? განა წამებას თქვენგან გადარჩენ იგინი? არა! არ გასულა ოთხი დღე, რომ ჩემდა დაუკითხავად რამოდენიმე მოწაფე ქალი მიიტყუეთ თქვენდამო რწმუნებულ სასწავლებელში ჩაკეტეთ ოთახში და ხატით აშინებდით მათ სანამ არ ატირდენ ბავშვები ად ამით შეშინებულმა გაანთავისუფლეთ იგინი. ბ. დვინიძევ მოწმეები მყავს მისი, თუ რა სახეებზედ იდგნენ თქვენგან ნაწამები ბავშვები! თქვენ, ვიცი, გირჩევნოდათ მე გავჩუმებულიყავ, მაგრამ გაყუჩება ისეთ ადამიანის მოქმედებაზე, რომელი მოქმედებაც საზოგადოების კეთილდღეობას ძირს უთხრის, ეწინააღმდეგება ბ. დვანიძევ ჩემს პრინციპებს, მიუხედავათ იმისა, რომ ჩემი დუმილი პირადად მე უზრუნველ მყოფდა მატერიალურად.

ახლა კი გთხოვთ გახსნათ თქვენი ღია ბარათის ბრჩხილები და აუწყოთ ყველას: რა საბუთებით და რისი საშვალებით მიმტკიცებთ ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათ?. წინააღმდეგ შემთხვევაში კი იძულებული ვიქნები უფლება დავიტოვო მოქმედებისა და შესაფერი სახელწოდებით მოგნათლოთ

კაცხისსაქალო სასწავლებლის გამგე: გალ. ქობიაშვილი.

ჩვენც მოგვისმინეთ!!!*).

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში სიმართლის აღსადგენათ, ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილსაც.

მე მსურს შევეხო ხარკოვის ქართველ სათვისტომოს მოლარის ბ-ნ ლ. კ—ის მოქმედებას მასალების მიხედვით.

თებერვლის პირველ რიცხვებში (1916 წ.) სტუდ. მედიკმა ვლადიმერ გუბელაძემ, უნივერსიტეტის თამბაქოს საწევ ოთახში ქართველ სტუდენტობას ამცნო, ბ-ნ ლ. კ—ძის მიერ სათვისტომოს ფულების გაფლანგვაზე. ამ არა სასიამოვნო ამბავმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ზოგიერთ ფხიზელ და კრიტიკულად მოაზრე ქართველ სტუდენტებზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. სიმართლის აღსადგენად და საქმის ვითარების გასაშუქებლად სტუდენტობამ მსჯელობა იქონია. პირში წაუდგა ბ-ნ ლ. კ—იას და უთხრა: „მე თქვენ გაბრალებთ სათვისტომოს ფულების გაფლანგვას, ამით, რასაკვირველია, თქვენს პიროვნებას ლაქსა სცხებ, თუ გსურთ თავი გაიმართლოთ, გინდ გამომიწვიეთ სამედიატორო სასამართლოში და გინდ ეხლავე ამოირჩიეთ თქვენი სურვილისამებრ ხუთი კაცი და გავიგოთ სათვისტომოს თანხის რაოდენობა. თუ გავმტყუნდები თქვენს წინაშე ბოდიშს მოვიხდი და პირნათლად შევასრულებ იმ სასჯელს, რასაც ამორჩეულნი პირნი მომისჯიან“-ო ამაზე უკეთესი კულტურული საშუალების გამონახვა განა შეიძლებოდა, მაგრამ ეს ბ. კ—მა არ ისურვა და ამაყად შესძახა ბ-ნ გ—ს: „მე თქვენთან თავის გამართლებას არ ვიკადრებ, სამედიატორო სასამართლოში გამოყოლა (თქვენთან) სამარცხვინოდ მიმაჩნია. მიჰამია სათვისტომოს ფული, ვსჭამ და კიდევ შევსჭამ, თქვენ უფრო დაგიჯერებს ქართველი საზოგადოება, თუ მე“-ო. აი, ბატონებო, როგორი აფორიზმებით გაუმასპინძლდა ბ-ნ გ—ეს სათვისტომოს მოლარე ბ ნი კა—ანი. მაგრამ ეს ერთგვარი ნაპოლეონისებური პოზიცია ბ-ნ ლ. კ—მა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა.

აი მაგალითებიც, როდესაც კ—ინს ამხანაგებმა მივმართეთ ამ საქმის შესახებ, მან გვიპასუხა: „კაცო! ადამიანი თავს ირჩობდეს, ან შიმშილიდ კვდებოდეს დახმარება არ უნდა გაუწიო“-ო ან და „შეუცდომელი კაცი არ არის“ ო. ამ სცენის მოწამე იყო სხვათა შორის ყოფილი სტუდენტი, პატივცემული ი. მ. არსენიშვილება ასე ვსთქვათ პირველი ხანა სათვისტომოში მომხდარ ამბებისა. გადის თითქმის თვე ნახევარი და ლაპარაკი ამ საქმეზე შეწყდა გ—ძე არ ეშვებოდა და დრო და დრო ამხანაგებს საქმის დაბოლოვებას სთხოვდა.

მაგრამ ბ-ნი მოლარე ყურს არ იბერტყს, სარევიზიო კომისიაც სდუმს, თითქოს დავიწყებოდეს თავისი მოვალეობა. ასე გადის, როგორც ვსთქვით თვე-ნახევარი. ამ წერილის ავტორს და ზოგიერთ სტუდენტს ეგონა, რომ ბატონი მოლარე ადამიანურად ინანიებს თავის ცოდვებს, თურმე—კი ამ ხნის განმავლობაში ბ-ნი მოლარე ახალ სტრატეგიულ პლანებს აწყობდა, რამაც მოატყუილა, თვით გამგეობაც. მაგრამ ვიდრე შევუდგებოდეთ ზემო აღნიშნულ სტრატეგიის განხილვას, საჭიროდ ვთვლით გავეცნოთ როგორ შეხვდა გამგეობა უეცარ მოვლენას. მიიღო თუ არა მან ზომები სიმართლის აღსადგენად? თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ გამგეობამ ბ-ნ კ—ს. ის ულტიმატუმიც კი არ დაუყენა, რომ მას თავი გაემართლებია ქართველ სტუდენტების წინაშე. ბ-ნმა კ—იმ აულო ალღო გარშემო არსებულ გარემოება და ეს იყო მიზეზი, რომ მარტის უკანასკნელ რიცხვებში მან გამგეობის კრებაზე განაცხადა: ბ ნ ვ. გ—ის წინააღმდეგ ჩემ შეურაცყოფისათვის (ცილის წამებისათვის) რამე ზომები მიიღეთო“. საკვირველია ის გარემოება რომ ბ ნი კ—ი გ—ისგან შეურაცყოფას ჯერ ყურადღებას არ აქცევდა, თავსაც არ უტოლებდა მას ძ მარტის უკანასკნელ რიცხვებში კი მისმა თავმოყვარეობამ უცბად გაიღვიძა!

ახლა გავიცნოთ ბ ნ ვლ. კ—ის პოზიცია და სტრატეგიული პლანები. ჩვენი მოლარე ამოეფარა გამგეობას და უკანასკნელი აამოქმედა ამხ. გ—ის წინააღმდეგ. აქ საქმე ისე წარმოებდა, რომ კაცს ეგონებოდა, ვლ. გ—ძე ფულის გაფლანგვაში ბრალს სდებდა გამგეობას და არა ამხ. კ—ის. უკანასკნელი გვერდზე გამდგარი მოლარის პორტფელით ხელში, ამაყურად დასცინოდა უბრალო მომაკვდავების განგაშს ბ ნ ვლ. გ—ის მიერ წამოყენებულ დებულებას ის არ უწევდა ანგარიშს, ან კი რად, ესაჭიროებოდა, როდესაც „გამგეობა“ ორგანიზმის მთლიანობის დასაცავად, ყოველგვარ ზომებს ხმარობდა „უმწიკვლო“ მოლარის დასაცავად. გამგეობამ კიდევაც მიაღწია საწადელს; ერთ მშვენიერ დღეს ამხ. ვლ. გუ—ძე იცნეს დამნაშავედ და სათვისტომოდგან დაითხოვეს. ამრიგათ, გამგეობამ ბ ნ კ—ს. ნიშნად პატივისცემისა უძლევა გამარჯვება (ეგრეთ წოდებულ Пиррова побѣда).

კა—ნის კამპანიამ მოწინააღმდეგის საბოლოოდ დასამარცხებლად მოისურვა მოესპო მისთვის ყოველივე კულტურული საშუალება, რომლითაც ადამიანს საზოგადოების წინაშე შეუძლია თავისუფლათ გამოსთქვას თავისი აზრები. გამგეობის მდივანი ალ. ჰირაძე და თავმჯდომარე ენტაშვილი გაზ. „სახ. ფურცლის“ №579 და „ჩ. მეგ“. №62. მოუწოდებს პრესას შემდეგს „რაკი ხარკოვში ვერ მოახერხა უდანაშაულო უმწიკვლო ამხანაგებისათვის ჩირქის მოცხება გადაუწყვეტია, თავის გულის ზრახვის შესასრულებლად ქართული პრესა გამოიყენოს. მოვალედ ვთვლით ჩვენს თავს გავაფრთხილოთ ქართული პრესა, რათა ვლ. გუ—ის ბოროტგანზრახვის იარაღად არ გადაიქცეს“. რათ დაგვჭირდა [illegible] ზომები, რად უსპობდით [illegible] სუფლად გამოსვლას [illegible] თლე თქვენსკენაა. რათ გეშინოდათ გუ—ის „ბოროტ განზრახვის“? მაგრამ ნათქვამია „ზოგისა ბამბა ჩხრიალებს და ზოგის კაკალიც არაო. ბ ნ კ—ის ბამბამ აჯობა გუბელაძის კაკალს. სამწუხაროდ ასეთი მოვლენა ძალიან ხშირია სტუდენტთა ცხოვრებაში, რის აღსანიშნავადაც დავწერე ეს მცირე წერილი.

ყოფილი სტუდენტი კ. ა—ძე.

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს შემოკლებით და ამასთანავე ამ საგნის შესახებ რედაქცია სწყვეტს ყოველ გვარ კამათს. ჩვენა გვგონია, რომ საკითხი ნათლად გამოირკვა და უფრო კი ნათლად დაიხატა საერთო სურათი ქართველი სტუდენტების ცხოვრება ამხანაგობისა. ჩვენცა ვყოფილვართ სტუდენტად და კარგათ ვიცით, რომ ხშირად რწყილს აქლემს ვაშობინებდით და ასევე ხშირად მართალი მტყუანად გვეჩვენებოდა ხოლმე. რა გაეწყობა! ჩვენი სტუდენტებიც შვილები არიან ქართველი საზოგადოებისა და რაც აქ,—ჩვენში,—ხდება ჯგუფურსა თუ პირად ნიადაგზე, ის მეორდება ქართველ ახალგაზრდათა შორის უცხოეთშიც, უფრო პატარა მასშტაბით, რასაკვირველია. სხვათა შორის ასეთი მოვლენის აღსანიშნავად მოვათავსეთ ეს და სხვა წერილებიც, რომლებიც, როგორც უკვე მოგახსენეთ—ნათლად გვიჩვენებენ ჩვენი სტუდენტების ურთიერთობას. დრო კია, ბატონებო, რომ ახალგაზრდობამ მაინც აიცილოს თავიდან ერთმანეთის გაბიაბურება და მეტის ერთობით შეუდგენ მუშაობას ჩვენი დუხჭირის ცხოვრების გასაუმჯობესებლად!...

რედ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“



რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	7 ს.	25	წ
„	საღამ.	8 ს.	50	„
ბათომიდან	დღისით	12 ს.	40	„
„	ღამის	2 ს.	20	„
ფოთიდან	დილის	10 ს.	26	„
ტყიბულიდან	საღამოს	6 ს.	50	„
„	„	9 ს.	04	„
შორაპნიდან	დილის	9 ს.	24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	დილის	11 ს.	—	„
„	ღამის	12 ს.	15	„
ბათომისაკენ	საღამოს	7 ს.	3	„
„	დილის	5 ს.	55	„
ფოთისაკენ	დღისით	4 ს.	8	„
ტყიბულისკენ	დილის	8 ს.	13	„
„	დღით	3 ს,	14	„
შორაპნისაკენ	დღით	5 ს.	20	„

მუშაობს ხრესილის მაღნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვლს** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.